ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-55

ქ. თბილისი 06 მაისი 2022 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის **ბერიკა შუკაკიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მიმწოდებელი: შპს „კომპანია GEOSM" წარმოდგენილი დირექტორის **თეიმურაზ ახობაძის** სახით;
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, მ.ასათიანის N14;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404873614;
საბანკო რეკვიზიტები: სს ,, პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი:MIBGGE22; ა.ა GE45 PC02 2360 0100 0108 27

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, **NAT220006884** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) შედეგად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები, დეტალური ინფორმაცია მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში **(CPV: 30190000 - სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები).**

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 18 078,77 (თვრამეტი ათას სამოცდათვრამეტი ლარი და 77 თეთრი) ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით;
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ერთეულის ფსები მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში;
3.3 დაფინანსების წყარო: ***სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში***

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისაწოდებელი საქონელის რაოდენობა და მახასიათებლები შეესაბამება ხელშეკრულების ყველა პირობას.
4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

მუხლი 5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1. შესყიდვის საგნის მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოთხოვნის შესაბამისად.

5.2. შესყიდვის საგნის გადმოცემის ადგილია ქ. თბილისი, სანდრო ეულის N5.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება ეტაპობრივად (ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით) შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას;

6.2. თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას;

6.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საწყობის მენეჯერს გოჩა ბასილაიას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4 მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული საქონელი შესაბამისი დოკუმენტებით საკუთრებაში;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 მოთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საწყობის მენეჯერს გოჩა ბასილაია, რომელიც ხელისმოწერით ადასტურებს ხლშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობას.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს აგრეთვე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ"

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალა-შია 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან/პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;

16.6 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.7 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.8 . ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან შტამპი;

16.9 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

17. ინტერესთა კონფლიქტი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტრაქტით გათვალისწინებული პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მუხლი 18. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

ბერიკა შუკაკიძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „კომპანია GEOSM"

Company GEOSM LTD

Digitally signed by Company GEOSM LTD
Date: 2022.05.06 12:18:13 +04'00'

თეიმურაზ ახობაძე
დირექტორი

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	მოდელი არსებობის შემთხვევაში	ერთეულის ფასი (ლარი) დღგ-ს ჩათვლით	საერთო ფასი (ლარი) დღგ-ს ჩათვლით
1	ჩასანიშნი ქაღალდი პლასტმასის ყუთში, ერთ ყუთში სხვადასხვა ფერის ქაღალდებით (75*75)	ცალი	100	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	4.72	472.00
2	ჩასანიშნი ქაღალდი ნებოვანი (75*75)	ცალი	300	ჩინეთი	JIANGYIN MERRY STATIONERY MANUFACTURE CO., LTD	A03A	0.75	225.00
3	კალამი ბურთულიანი (ლურჯი)	ცალი	800	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	Q3-BL	0.19	152.00
4	კალამი მეტალის კორპუსით (ლურჯი)	ცალი	100	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	S80	3.90	390.00
5	ფანქარი საშლელით (HB)	ცალი	150	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	C018	0.17	25.50
6	წებო მშრალი	ცალი	25	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	7101	0.46	11.50
7	ქაღალდის წებო თხევადი	ცალი	25	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	7302	0.73	18.25
8	სტეპლერი საშუალო 24/6-26/6	ცალი	50	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	0325	4.18	209.00
9	სტეპლერის ტყვია 24/6-26/6 (1000 ცალიანი შეკვრა)	შეკვრა	100	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	0012N	0.67	67.00
10	სტეპლერი №10	ცალი	50	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	0224	2.29	114.50
11	სტეპლერის ტყვია №10 (1000 ცალიანი შეკვრა)	შეკვრა	100	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	0010N	0.46	46.00
12	კალენდარი სამაგიდე 2022 წლის	ცალი	50	საქართველო	შპს "ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	4.18	209.00
13	კედლის კალენდარი 2022 წლის (გასაშლელი) 3 განყოფილებიანი, თარიღის ინდივიდუალური მონიშვნის საშუალებით	ცალი	50	საქართველო	შპს "ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	5.97	298.50
14	ტექსტმარკერი (ე.წ. Highlighter, ფოსფორისფერი ყვითელი ფერის)	ცალი	100	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	S600	0.78	78.00
15	მარკერი დაფის შავი	ცალი	150	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U00120	0.79	118.50
16	მარკერი დაფის ლურჯი	ცალი	150	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U00130	0.76	114.00
17	სკრეპი საშუალო №3	შეკვრა	50	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	39712	1.00	50.00
18	საკანცელარიო დანა დიდი	ცალი	25	ჩინეთი	ART DESIGING KNIVES	მოდელი არ გააჩნია	0.60	15.00
19	საკანცელარიო დანა პატარა	ცალი	25	ჩინეთი	ART DESIGING KNIVES	No120	0.44	11.00
20	სათლელი (პლასტმასის)	ცალი	25	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	0594	0.27	6.75
21	მელანი შტამპის (ბეჭდის); ფერი - მოთხოვნის შესაბამისად; 25 მლ. (არა ზეთოვანი)	ცალი	10	ჩინეთი	HORSE STATIONERY	მოდელი არ გააჩნია	0.94	9.40
22	დაფის საშლელი (მაგნიტის)	ცალი	10	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	1.49	14.90
23	კორექტორი თხევადი, ფუნჯით	ცალი	25	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	39291	1.19	29.75

24	ფლიფჩარტის ქაღალდი (20 ფურცლიანი შეკვრა)	შეკვრა	500	საქართველო	შპს "კომპანია GEOSM "	მოდელი არ გააჩნია	8.26	4130.00
25	ასაკინძი აპარატის აქსესუარები A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძი ლითონის ზამბარა (30-60 გვერდის ოდენობის) ასაკინძად	ცალი	30	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	HM008	0.22	6.60
26	ასაკინძი აპარატის აქსესუარები A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძი ლითონის ზამბარა (80-100 გვერდის ოდენობის) ასაკინძად	ცალი	30	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	HM012	0.30	9.00
27	ასაკინძი აპარატის აქსესუარები გამჭვირვალე ყდა A4 ფორმატის ბროშურის ასაკინძად	ცალი	30	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	H3922	0.22	6.60
28	სწრაფჩამკერი	ცალი	100	თურქეთი	UMUR KIRTASIYE SANAYI VE TICARET A.S.	U1180P	0.48	48.00
29	პერმანენტ მარკერი შავი	ცალი	350	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10120	0.38	133.00
30	პერმანენტ მარკერი ლურჯი	ცალი	350	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10130	0.38	133.00
31	პერმანენტ მარკერი წითელი	ცალი	350	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10140	0.38	133.00
32	პერმანენტ მარკერი მწვანე	ცალი	350	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	U10150	0.40	140.00
33	ბეიჯი (ჰორიზონტალური A1, შიდა ზომა 90X54 მმ)	ცალი	300	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	5756	0.94	282.00
34	ბეიჯის ზონარი (85სმ. სიგრძის, სამაგრით)	ცალი	300	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	5764	0.60	180.00
35	ჩასანიშნი წებოვანი გამჭვირვალე, ფერადი (დივაიდერი)- 7 ფერში	ცალი	50	ჩინეთი	JIANGYIN MERRY STATIONERY MANUFACTURE CO., LTD	SN5071	1.11	55.50
36	თითის დასასველებელი (პლასტმასის, ბურთულიანი)	ცალი	20	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	9109	2.84	56.80
37	ფერადი ფანქარი შეკვრაში 6 ფერი	შეკვრა	30	ჩინეთი	DELI GROUP CO., LTD	C00500	2.16	64.80
38	ფერადი ქაღალდი A4 ფორმატის მაღალი ხარისხის 80 გრ/მ2 შეკვრაში 250 ფურცელი 10 ფერიანი.	შეკვრა	50	ჩინეთი	YIWU SHENGHONG PAPER PRODUCTS CO., LTD	მოდელი არ გააჩნია	17.91	895.50
39	ქაღალდის სკოჩი 50მმ.X25მ.	შეკვრა	200	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	5.97	1194.00
40	სკოჩი (ქაღალდის სკოჩი 48მმ 18.3მ)	შეკვრა	200	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	5.97	1194.00
41	სკოჩი (ქაღალდის სკოჩი 24მმ 18.3მ)	შეკვრა	200	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	4.48	896.00
42	დაფის საწმენდი სითხე	ცალი	10	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	00102-M	3.56	35.60
43	მექანიზმიანი ბეჭედი (შტამპი) PRINTER R 40	ცალი	2	ავსტრია	COLOP STEMPELERZEUGUNG SKOPEK GMBH & CO KG	PRINTER R40	59.47	118.94
44	მექანისმიანი ბეჭედის (შტამპის) სათადარიგო ბალიში	ცალი	2	ავსტრია	COLOP STEMPELERZEUGUNG SKOPEK GMBH & CO KG	E/R40	13.44	26.88
45	ბლოკნოტი ყოველდღიური, მაღალი ხარისხის, A5 ფორმატის, ბეჭდვა ორფერიანი, ტყავის ყდით, ქართულ-ინგლისური	ცალი	150	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	FX2022	6.30	945.00

46	ფაილები, A4 ფორმატის ფურცლებისთვის, შეკვრაში 100 ცალი	შეკვრა	300	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	HOE30	5.36	1608.00
47	საქაღალდე, პლასტიკური სწრაფჩამკერი, შიდა სამაგრით, სქელი A4 ფორმატის	ცალი	100	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	HO31208	2.09	209.00
48	ბაინდერი, A4 ფორმატის, განიერი, ჩასადები ფირნიშით, ყვითელი (ასაწყობი)	ცალი	150	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	4.96	744.00
49	ბაინდერი, A4 ფორმატის , ვიწრო, ჩასადები ფირნიშით, ყვითელი (ასაწყობი)	ცალი	150	ჩინეთი	HELIO STATIONERY GROUP	მოდელი არ გააჩნია	4.96	744.00
50	რვეული ზამბარით, A-5; 80 ფურცელი; ზედა ორმაგი ზამბარით უჯრა	ცალი	100	საქართველო	შპს "ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	3.42	342.00
51	ბლოკნოტი გვერდიდან ზამბარით, A-5; 120 ფურცლიანი, მუყაოს 500 გრამიანი მყარი ყდით, ორმაგი ზამბარით 80 გრამიანი ტონირებული ფურცლებით	ცალი	100	საქართველო	შპს "ცოტი"	მოდელი არ გააჩნია	10.62	1062.00
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით								18078.77

Company GEOSM LTD

Digitally signed by Company GEOSM LTD
Date: 2022.05.06 12:18:38 +04'00'